



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დამატებითი (minor) პროგრამა

ინგლისური ენა და ლიტერატურა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ინგლისური ენა და ლიტერატურა

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: მაინორი (minor)

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი

პროგრამის მიზანი: პროგრამა მიზნად ისახავს გამოუმუშაოს ბაკალავრს ინგლისური ენის პრაქტიკული უნარ-ჩვევები და მისცეს საბაზისო ცოდნა ინგლისური ლიტერატურის განვითარების ეტაპებისა და პრობლემური საკითხების შესახებ. ქვეყნის საზოგადოებრივი, ეკონომიური და კულტურული განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით პროგრამა ამზადებს ინგლისურენოვანი სამყაროს რეალიებისა და კულტურის ცოდნით აღჭურვილ სპეციალისტს.

ცოდნა და გაცნობიერება

პროგრამის გავლის შედეგად ბაკალავრს განუვითარდება ენის ფლობის შესაბამისი დონე; გაცნობიერებული ექნება ინგლისური ენის ფუნქციური მრავალფეროვნება, მისი ფონეტიკური, გრამატიკული და სტილისტური ნორმები; ექნება წარმოდგენა ინგლისური ენის სისტემასა და სტრუქტურაზე; გაეცნობა ინგლისური ლიტერატურის განვითარების ეტაპებსა და პრობლემურ საკითხებს, გააცნობიერებს მის ადგილსა და როლს მსოფლიო კულტურაში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება ინგლისურ ენაზე მეტყველების (როგორც ზეპირად, ისე წერილობით), დიალოგის წარმართვის, საკუთარი აზრის ნათლად გადმოცემის უნარი; შეეძლება ინგლისურენოვან სამეცნიერო და მეთოდურ ლიტერატურაზე მუშაობა, საკუთარი ცოდნის მობილიზება და მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება დასახული პრობლემის გადასაჭრელად. თეორიული წყაროებისა და ლიტერატურული კვლევის მეთოდების გამოყენებით ბაკალავრს გამოუმუშავდება ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრული ანალიზისა და შეფასების უნარი ეპოქის ესთეტიურ და კულტურულ პრობლემებთან მიმართებაში.

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება ინგლისური ენისა და ლიტერატურის სფეროში ძირითადი პრობლემების კრიტიკულად გააზრება-გაანალიზების უნარი, იგი შეძლებს მოვლენებისა და ფაქტების დაკავშირების საფუძველზე ლოგიკური დასკვნების გაკეთებას და საკუთარი არგუმენტების ჩამოყალიბებას.

კომუნიკაციის უნარი

ბაკალავრს ექნება ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარი. იგი შეძლებს მშობლიურ და უცხოურ ენებზე თანამიმდევრულად და აკადემიურად ჩამოყალიბოს მოსაზრებები, იდეები და მოახდინოს ინფორმაციის გაცვლა გასაგები ტერმინოლოგიითა და ენით როგორც წერილობით, ისე ზეპირად. იგი შეძლებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მიიღოს საჭირო ინფორმაცია და გადასცეს თავისი ცოდნა ქართულენოვან და უცხოენოვან მსმენელს.

სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს ჩამოყალიბდება დადებითი დამოკიდებულება სწავლის პროცესისადმი, სწავლის გაგრძელების სურვილი საკუთარი ცოდნის მუდმივი თანმიმდევრული სრულყოფის მიზნით; იგი შეძლებს საკუთარი კომპეტენციის გაანალიზება/შეფასებას ინგლისური ენისა და ლიტერატურის სფეროში; გამოუმუშავდება შესასწავლი საგნის ასათვისებლად საჭირო სტრატეგიული უნარები - დაგეგმვის, ეტაპებად დაყოფის, სირთულეების განსაზღვრის, ხარვეზების გაანალიზებისა და აღმოფხვრის.

ღირებულებები

სტუდენტს გამოუმუშავდება პატივისცემის გრძნობა ქართული, ინგლისური და ზოგადად მსოფლიო კულტურული ღირებულებების მიმართ; კურსდამთავრებულს ჩამოყალიბდება პოზიტიური დამოკიდებულება თავისუფალი აზროვნებისადმი, სხვათა შეხედულებებისადმი პატივისცემის გრძნობა.

საგანი	დარგობრივი კომპეტენციები		ზოგადი კომპეტენციები			
	ცოდნა განზობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
ინგლისური ენა 1	+	+		+		
ინგლისური ენა 2	+	+		+	+	
ინგლისური ენა 3	+	+		+	+	
ინგლისური ენა 4	+	+		+	+	

ინგლისური ენა 5	+	+		+	+	
ინგლისური ენა 6	+	+		+	+	
ინგლისური ენის ლექსიკოლოგია	+	+	+			
შუა სს. და აღ. ხანის ინგლ. ლიტ. ისტორია	+	+			+	+
XVII-XVIII სს ინგლ. ლიტ. ისტორია	+	+	+		+	+
XIX ს. ინგლ. ლიტ. ისტორია	+	+	+		+	+
XX ს. ინგლ. . ლიტ. ისტორია	+	+	+	+		+

პროგრამის სტრუქტურა

№	კურსი	სკ	ლ./პრ./დ აშ.	კრე დ. რა	სემესტრები						
					III	IV	V	VI	VII	VIII	
1	ინგლისური ენა 1	3	0/45/80	5	5						
2	ინგლისური ენა 2	4	0/60/65	5		5					
3	ინგლისური ენა 3	4	0/60/65	5			5				
4	ინგლისური ენა 4	3	0/45/80	5				5			
5	ინგლისური ენა 5	6	0/90/160	10					10		
6	ინგლისური ენა 6	4	0/60/65	5							5
7	ინგლისური ენის ლექსიკოლოგია	2	22/8/95	5							5
8	შუა სს. და აღორძინების ხანის ინგლისური ლიტერატურის ისტორია	3	15/30/80	5	5						
9	XVII-XVIII სს ინგლისური ლიტერატურის ისტორია	3	15/30/80	5		5					
10	XIX ს. ინგლისური ლიტერატურის ისტორია	3	15/30/80	5			5				
11	XX ს. ინგლისური ლიტერატურის ისტორია	3	15/30/80	5				5			
სულ				60	10	10	10	10	10	10	10

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება:

სკ – საათი კვირაში; ლ/პ/დამ/-ლექცია/ პრაქტიკული/დამოუკიდებელი

სწავლების მეთოდები

ლექციასა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამოყენებული იქნება ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობისა და დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია-დებატები, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი. პროგრამა ითვალისწინებს ასევე სწავლებისა და სწავლის უახლესი მეთოდოლოგიის - ინფორმაციულ-ტექნიკური მეთოდების - გამოყენებას სწავლების პროცესში, რაც უზრუნველყოფს ცალკეული მოდულის თუ ზოგადად პროგრამის მიზნების განხორციელებას.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:
 - ა) შუალედურ შეფასებას;
 - ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.
5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (B) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა. სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი:

საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაცია ხდება აწსუ მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის მეშვეობით სასწავლო კურსების პროფილის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია კეთილმოწყობილი კაბინეტებით, აუდიტორიებით, კომპიუტერული ცენტრებით; სასწავლო-მეთოდური მასალებით: შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდებით (წიგნადი, ციფრული).

საკუთრივ ინგლისური ფილოლოგიის განყოფილებას აქვს მდიდარი მატერიალური რესურსი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად.

- ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტების საკუთრივ მატერიალურ რესურსს შეადგენს:
- -4 კომპიუტერი
- -1 PC
- -1 ოვერჰედპროექტორი
- -1 ტელევიზორი
- -1 ვიდეომაგნიტოფონი
- -2 CD PLAYER
- - 1 სატელიტის მიმღები
- -1 ვიდეო-DVD
- -კასეტები (ვიდეოთეკა)

